სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერისიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის კვლევის ეთიკის საბჭოს საქმიანობისა და სამეცნიერო კვლევით ეთიკურობის დადგენის წესი და პროცედურა

თავი 1. ზოგადი დებულებები

1. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერისიტეტის (შემდგომში - ,,უნივერსიტეტი“ ან ,,თსუ“) ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევის ეთიკის საბჭო (შემდგომში - „საბჭო“) ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტზე (შემდგომში - ,,ფაკულტეტი“) მოქმედი დამოუკიდებელი ორგანოა, რომელიც განიხილავს კვლევის მეთოდების და პროცედურების შესაბამისობას ეთიკური კვლევის პრინციპებთან, რისკისა და სარგებლის ანალიზის გზით ადგენს კვლევის ჩატარების მიზანშეწონილებას.
2. საბჭოს მიზანია კვლევის მონაწილეების უფლებების, მათი ღირსებისა და პიროვნული ავტონომიის დაცვის ხელშეწყობა კვლევის პროცესში წამოჭრილი პრობლემების ეთიკური ასპექტების წარმოჩენის, ანალიზისა და სათანადო რეკომენდაციების მომზადების გზით.
3. საბჭო უზრუნველყოფს სამეცნიერო კვლევის ეთიკური სტანდარტის დაცვას ეროვნულ თუ საერთაშორისო რეგულაციებთან მიმართებაში.
4. წინამდებარე დებულება განსაზღვრავს უნივერსიტეტის ფაკულტეტის კვლევის ეთიკის ინსტიტუციური საბჭოს შექმნისა და ფუნქციონირების წესს, არეგულირებს ფაკულეტეტის კვლევითი საქმიანობის ეთიკურ ასპექტებს.
5. საბჭოს მიერ დეკლარირებული კვლევის რეგლამენტი, ყველა პროცედურა და საქმიანობა ეფუძნება ადამიანის უფლებათა საყოველთაოდ აღიარებული პრინციპების, ევროპის საბჭოს „ადამიანის უფლებებისა და ბიომედიცინის შესახებ კონვენციისა“ და მისი დამატებითი ოქმების, „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის, საქართველოს კანონმდებლობის, ბიოეთიკის ეროვნული საბჭოს დებულების, ამერიკის ფსიქოლოგთა ასოციაციის (APA) მიერ დადგენილ წესებს ადამიანების კვლევის შესახებ.

თავი 2. საბჭოს შექმნის კრიტერიუმები და შემადგენლობა

1. საბჭო იქმნება ფაკულტეტის აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების მიერ დაგეგმილი კვლევების ეთიკური ასპექტების შეფასების მიზნით.
2. საბჭო განიხილავს კვლევით პროექტს და ადგენს ადამიანთან დაკავშირებული მონაცემების შეგროვებისა და დამუშავების, ადამიანზე ჩატარებული ფსიქოლოგიური კვლევის ეთიკურ პრინციპებთან შესაბამისობას. ადამიანების მონაწილეობა შეიძლება გულისხმობდეს ინდივიდთან ურთიერთქმედებას/ჩარევას, ან იდენტიფიცირებადი პირადი ინფორმაციის გამოყენებას ინდივიდის შესახებ.
3. საბჭო აერთიანებს მეცნიერებსა და არამეცნიერებს შემდეგი ჯგუფებიდან: 1. უნივერსიტეტის და უნივერისტეტთან აფილირებული აკადემიური პერსონალი 2. უნივერსიტეტის ადმინისტრაციული პერსონალი 3. საზოგადოების წარმომადგენლები, რომელთა საქმიანობა უკავშირდება საზოგადოების ინტერესების წარმოჩენასა და ადამიანის უფლებების დაცვას.
4. საბჭო განიხილავს განაცხადებს, საჭიროების შემთხვევაში ითხოვს პერიოდული პროგრესის ანგარიშებს სამეცნიერო საქმიანობის განმახორციელებელი პერსონალისაგან.
5. საბჭოს შემადგენლობაში შედის ერთი მოქმედი, და ერთი შემცვლელი წევრი (მოქმედის არყოფნის შემთხვევაში ჩანაცვლებისთვის) ფაკულტეტის (თითოეული) ქვემოთმოცემული სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტიდან და სხვა წევრები:

ა) სოციალური ფსიქოლოგიის ინსტიტუტი;
ბ) პიროვნების, შეფასების და კონსულტირების ფსიქოლოგიის ინსტიტუტი;
გ) კოგნიტური და ნეიროფსიქოლოგიის ინსტიტუტი;
დ) განათლების ფსიქოლოგიის ინსტიტუტი;
ე) შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგიის ინსტიტუტი;
ვ) განათლების მეცნიერებათა დეპარტამენტი;
ზ) წარმომადგენელი კვლევითი არასამთავრობო ორგანიზაციიდან;
თ) იურისტი (ადამიანის უფლებების სპეციალისტი);
ი) ადმინისტრაციის წარმომადგენელი.

6. საბჭო შედგება ხმის უფლების მქონე 9 წევრისგან. კომისიის წევრებს ასახელებს ინსტიტუტის ხელმძღვანელი და ამტკიცებს ფაკულტეტის საბჭო.

7. საბჭოს შეუძლია გააფართოოს თავისი შემადგენლობა წარმოდგენილი კვლევის სპეციფიკის გათვალისწინებით და ერთჯერადად, თავისი გადაწყვეტილებით, შეიყვანოს მასში დარგის ექსპერტები და საზოგადოების წარმომადგენლები, კვლევის პროცესში წარმოშობილი ზიანის მიყენების რისკის პრევენციისთვის. დარგის ექსპერტები საბჭოს სხდომებში მონაწილეობას მიიღებენ ხმის მიცემის უფლების გარეშე.

8. კვლევის ეთიკის საბჭოს წევრებს (მათ შორის შემცვლელ წევრებს), თავმჯდომარეს და მის მოადგილედ ამტკიცებს ფაკულტეტის საბჭო.

9. კვლევის ეთიკის საბჭოს შემადგენლობა განისაზღვრება ორი წლის ვადით.

თავი 3. საბჭოს მუშაობის წესი

1. საბჭო სხდომებს მართავს იმ სიხშირით, რაც აუცილებელია მისი ფუნქციების შესასრულებლად. საბჭოს სხდომა დახურულია, იმ შემთხვევაში თუ განსახილველი საკითხები საქართველოს კანონმდებლობით თანახმად, წარმოადგენენ პერსონალური ინფორმაციის, კომერციული საიდუმლოების ან სხვა ისეთი ინფორმაციის შემცველ საკითხებს, რისი საჯაროდ განხილვაც დაშვებული არ არის.

2. პირველივე სხდომაზე საბჭოს წევრები ირჩევენ საბჭოს მდივანს, რომელიც აწარმოებს საბჭოს ოქმებს და პასუხისმგებელია საბჭოს დოკუმენტაციის კონტროლსა და უსაფრთხო შენახვაზე.

3. საბჭო უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას, თუ მას ესწრება წევრთა სიითი შემადგენლობის არანაკლებ 2/3. სხდომას ხელმძღვანელობს თავმჯდომარე, ხოლო მისი არყოფნისას - თავმჯდომარის მოადგილე, ხოლო თუკი ისიც არ ესწრება სხდომას, ხმათა უმრავლესობით აირჩევა სხდომის თავმჯდომარე, რომელიც სარგებლობს საბჭოს თავმჯდომარის ყველა უფლებამოსილებით.

4. საბჭო გადაწყვეტილებას იღებს ღია კენჭისყრით, დამსწრე წევრთა ხმების უმრავლესობით. ხმების თანაბრად განაწილების შემთხვევაში, გადამწყვეტია საბჭოს/სხდომის თავმჯდომარის ხმა.

5. საბჭოს მუშაობის ის პროცედურები (სამუშაო რეგლამენტი), რომლებიც არ არის გათვალისწინებული წინამდებარე დებულებით, შესაძლებელია დადგინდეს უშუალოდ საბჭოს მიერ წერილობითი გადაწყვეტილების სახით.

6. საბჭოს საქმიანობა აისახება სხდომის ოქმებში. საბჭოს მდივანი აფორმებს სხდომის ოქმს, რომელიც უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

ა) საბჭოს სხდომის თარიღი;

ბ) სხდომის მონაწილეთა ჩამონათვალი;

გ) სხდომის დღის წესრიგი;

ე) საბჭოს დასკვნა (გადაწყვეტილება) თითოეული განხილული საკითხის შესახებ;

ვ) თითოეულ მიღებულ გადაწყვეტილებაზე წევრთა ხმების რაოდენობა;

ზ) თანმხლები დოკუმენტების ნუსხა.

7. საბჭოს სხდომის ოქმს ხელს აწერს არანაკლებ სხდომის თავმჯდომარე და მდივანი.

8. სხდომებზე საბჭოს წევრები განიხილავენ სამეცნიერო-კვლევით პროექტს და იღებენ გადაწყვეტილებას მისი ეთიკურ პრინციპებთან შესაბამისობის თაობაზე. სხდომების განრიგი წინასწარ უნდა იყოს ცნობილი და საბჭოს წევრებს საკმარისი დრო უნდა ჰქონდეთ სხდომამდე დოკუმენტების გასაცნობად.

9. საბჭომ შეიძლება განიხილოს წარმოდგენილი სამეცნიერო კვლევა სრულად - იმ შემთხვევაში, თუ კვლევითი პროექტი პირველადაა წარმოდგენილი; ნაწილობრივ, თუ კვლევას ახალი ამოცანები დაემატა, გაფართოვდა; ან გაათავისუფლოს განხილვისგან, თუ კვლევით პროექტს უკვე მიღებული აქვს კვლევის ეთიკის საბჭოს თანხმობა, პროექტის გაგრძელებაა და მასში არ განხორციელებულა ცვლილებები.

10. საბჭოს საქმისწარმოებაზე პასუხისმგებელია ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახური. საბჭოში განსახილველად შემოსული კვლევითი პროექტი, თანდართულ დოკუმენტაციასთან და საბჭოს დასკვნასთან ერთად გადაეცემა სამსახურს.

11. კვლევითი პროექტის ეთიკურ პრინციპებთან თავსებადობის შესაფასებლად მოთხოვნილი დოკუმენტაცია, საბჭოს სხდომის ოქმები, შესაძლოა შეიცავდეს პერსონალურ მონაცემებს, ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებულ ინფორმაციას, რომლის უსაფრთხო და კონფიდენციალური განთავსება, უზრუნველყოფილი უნდა იყოს სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურისა და ფაკულტეტის კანცელარიის მეშვეობით, საქართველოს კანონმდებლობისა და თსუ-ს საქმისწარმოების ინსტრუქციის შესაბამისად.

თავი 4. სამეცნიერო კვლევითი პროექტის წარდგენა საბჭოში

1. განცხადება სამეცნიერო კვლევითი პროექტის ეთიკური შეფასების მოთხოვნის შესახებ და ეთიკური ექსპერტიზისათვის საჭირო ყველა სხვა დოკუმენტი, გადაეცემა საბჭოს მდივანს.

2. საბჭოს წერილობით (ელექტრონული ვერსიასთან ერთად) უნდა მიეწოდოს შემდეგი დოკუმენტები ორ ეგზემპლარად:

ა) განცხადება კვლევითი პროექტის ეთიკურ სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების მოთხოვნის შესახებ;

ბ) კვლევითი პროექტი, რომელიც შეიცავს შემდეგ ინფორმაციას:

ბ.ა) მთავარი მკვლევრისა და კვლევაში მონაწილე სხვა პასუხისმგებელ პირთა სახელები, კვალიფიკაცია და პოზიცია;

ბ.ბ) კვლევის მიზანი და კვლევის საჭიროების დასაბუთება დაფუძნებული უახლეს მეცნიერულ ცოდნაზე;

ბ.გ) კვლევის მეთოდები და პროცედურები, სტატისტიკური და ანალიზის სხვა მეთოდების ჩათვლით;

ბ.დ) ადამიანების მონაწილეობის აუცილებლობის დასაბუთება;

ბ.ე) კვლევის პროექტში მონაწილეთა ჩართვის თუ გამორიცხვის კრიტერიუმები, აგრეთვე როგორ უნდა მოხდეს ამ ადამიანების შერჩევა და მოწვევა;

ბ.ვ) კვლევაში მონაწილეობასთან დაკავშირებით მოსალოდნელი რისკების დახასიათება და აღწერა;

ბ.ზ) კვლევით გათვალისწინებული პროცედურების ხასიათი, მასშტაბები და ხანგრძლივობა, აგრეთვე დეტალები კვლევის პროცესთან დაკავშირებული მონაწილის ნებისმიერი დისკომფორტის შესახებ;

ბ.თ) ღონისძიებების შესახებ, რომლიც სუბიექტთა პირადი ცხოვრების პატივისცემის და პირადი მონაცემების კონფიდენციალობას უზრუნველყოფს;

ბ.ი) ყველა სხვა საკითხი, რომელიც მკვლევრის მიერ აღიქმება როგორც ეთიკური თვალსაზრისით მნიშვნელოვანი;

ბ.კ) ინფორმირებული თანხმობის ფორმა და ინსტრუქციები კვლევაში მონაწილე ინდივიდებისთვის.

3. კვლევი ეთიკის საბჭომ შეიძლება მოითხოვოს ნებისმიერი სხვა დამატებითი ინფორმაცია, რომელიც კვლევის პროექტის ეთიკური შეფასებისთვის მიიჩნევს მნიშვნელოვნად.

თავი 5. სამეცნიერო კვლევითი პროექტის განხილვა და საბჭოს დასკვნა (გადაწყვეტილება)

1. საბჭოში განმცხადებლის მიერ სრულყოფილად წარმოდგენილ დოკუმენტაციას მდივანი, საბჭოს თავმჯდომარესთან შეთანხმებით, უგზავნის საბჭოს ყველა წევრს ელექტრონული ფოსტით.

2. საბჭოს მდივანი პროექტს და შესაბამის დოკუმენტაცია შესაფასებლად გადასცემს კომისიის სამ წევრს. კომისიის შერჩეულმა წევრმა უარი უნდა თქვას კვლევითი პროექტის შეფასებაზე, თუ მას ინტერესთა კონფლიქტი გააჩნია. ასეთ შემთხვევაში საბჭოს მდივანი კვლევით პროექტს გადასცემს საბჭოს სხვა წევრს.

3. საბჭოს მიერ შერჩეული წევრი წარმოდგენილი დოკუმენტების საფუძველზე აანალიზებს კვლევით პროექტს და ამზადებს შეფასებას მომდევნო სხდომაზე მოცემული კვლევითი პროექტის განსახილველად. საბჭოს მიერ შერჩეული წევრი, კვლევის შინაარსიდან გამომდინარე, განსაზღვრავს ექსპერტის მოწვევის საჭიროებას. მოსაწვევი_ექსპერტის ვინაობას და მასთან გასარკვევ საკითხებთან დაკავშირებით ელექტრონულად აცნობებს საბჭოს წევრებს.

4. კვლევის ეთიკის საბჭო იღებს გადაწყვეტილებას ექსპერტის მოწვევის_საჭიროებისა და მისი შერჩევის შესახებ.

5. საბჭოს მდივანი კვლევით პროექტს და სხვა საჭირო დოკუმენტაციას გადასცემს შერჩეულ ექსპერტს და მოიწვევს მას სხდომაზე. საბჭოს მიერ მოწვეული ექსპერტი განიხილავს მისთვის გადაცემულ_დოკუმენტაციას, ამზადებს თავის დასკვნებს საბჭოს სხდომისთვის. მოწვეული ექსპერტი საბჭოს სხდომაში მუშაობას იღებს ხმის უფლების გარეშე.

6. საბჭო განიხილავს კვლევით პროექტს, აფასებს მის ეთიკურ ასპექტებს და განსაზღვრავს, დასაშვებია თუ არა კვლევის ჩატარება ეთიკური_თვალსაზრისით. განხილვისას ძირითადი მომხსენებლები არიან საბჭოს შერჩეული წევრები და მოწვეული ექსპერტი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) რომლებსაც წინასწარ გადაეცათ შესაფასებლად კვლევის შესახებ წარმოდგენილი დოკუმენტების სრული პაკეტი.

7. საბჭოს წევრებმა უნდა შეაფასონ:

ა) კვლევის საჭიროება და მასში ადამიანის მონაწილეობის აუცილებლობა;

ბ) მკვლევრისა და მისი გუნდის კვალიფიკაცია და გამოცდილება მოცემული კვლევის ჩასატარებლად;

გ) კვლევის რისკი და მოსალოდნელი სარგებლობა და რამდენად მისაღებია არსებული რისკის პირობებში კვლევის ჩატარება დასახული მიზნების მისაღწევად;

დ) კვლევის სუბიექტისთვის ჯანმრთელობის საფრთხის შექმნის ალბათობა კვლევის პროცესში;

ე) ინფორმირებული თანხმობის მიღების პროცედურის ადეკვატური დაგეგმვა (გარანტირებულია თუ არა კვლევის სუბიექტისათვის გასაგები ენით ყველა საჭირო ინფორმაციის მიწოდება);

ვ) გამორიცხულია თუ არა რაიმე ზეწოლა (ფინანსური ზეწოლის ჩათვლით) კვლევაში მონაწილეობაზე თანხმობის მიღების მიზნით;

ზ) კვლევაში მონაწილე პირების შერჩევის წესი, გამორიცხულია თუ არა დისკრიმინაცია;

თ) რამდენად ადეკვატურია კვლევითი პროექტით გათვალისწინებული გარანტიები კვლევის სუბიექტების შესახებ მოპოვებული ინფორმაციის კონფიდენციალურად დაცვის შესახებ.

8. საბჭოს დასკვნა (გადაწყვეტილება) შეიძლება იყოს შემდეგი:

ა) დაგეგმილი სამეცნიერო-კვლევა დამტკიცდეს ცვლილების გარეშე (თანხმობა) რაც მკვლევარს აძლევს უფლებას ჩაატაროს კვლევა პროექტის ფარგლებში, მასში ყოველგვარი ცვლილების შეტანის გარეშე;

ბ) დაგეგმილი სამეცნიერო კვლევა დამტკიცდეს დათქმით (პირობითი თანხმობა შესწორებებით), რაც მკვლევარს აძლევს კვლევის დაწყების უფლებას, მხოლოდ გეგმაში საბჭოს მიერ რეკომენდებული კონკრეტული ცვლილებების შეტანის და/ან მოთხოვნილი დამატებით ინფორმაციის წარდგენის შემდეგ. ასეთ შემთხვევაში წარმოდგენილ ცვლილებებს აფასებს ან საბჭოს თავმჯდომარე ან მის მიერ დასახელებული საბჭოს წევრი, რის საფუძველზეც საბჭოს თავმჯდომარე გასცემს თანხმობას ან უარს კვლევის ჩატარებაზე;

გ) დაგეგმილ სამეცნიერო კვლევაზე უარი მომდევნო სხდომამდე, რაც გულისხმობს, რომ მოცემული კვლევითი პროექტი საჭიროებს მნიშვნელოვან გადამუშავებას, რომლის შემდეგ ის შეიძლება განხილული იქნეს კომისიის რომელიმე მომდევნო სხდომაზე (მომდევნო სხდომა ჩაინიშნება საჭიროების შესაბამისად);

დ) დაგეგმილი სამეცნიერო კვლევაზე საბოლოო უარი, რაც გულისხმობს, რომ მოცემული კვლევა არ უნდა ჩატარდეს.

9. დასკვნა (გადაწყვეტილება) შეიძლება შეიცავდეს მოთხოვნას:

ა) საბჭოსადმი კვლევის მიმდინარე ანგარიშის ან ანგარიშების წარდგენის ვალდებულების შესახებ;

ბ) კვლევითი პროექტის განმეორებით შეფასების საჭიროების შესახებ, როცა კვლევის დიდი ხანგრძლივობის (რამდენიმე წელი) და/ან მაღალი რისკის ან სხვა გარემოებების გამო აუცილებელია სიფრთხილის დაცვა;

10. საბჭოს მიერ დასკვნა კვლევითი პროექტის ეთიკური შეფასების შესახებ გაიცემა საბჭოსადმი კვლევის დოკუმენტაციის გადაცემის დღიდან არაუგვიანეს 40 დღისა.

11. საბჭოს დასკვნა (გადაწყვეტილება) წარმოდგენილია საბჭოს ოქმში. მთავარ მკვლევარს ან მის წარმომადგენელს, მოთხოვნისამებრ, ეძლევა ამონაწერი ოქმიდან, რომელშიც მითითებულია კვლევითი პროექტის განხილვის შედეგი და საბჭოს დასკვნა.

თავი 6. სამეცნიერო კვლევის მიმდინარეობაზე მონიტორინგი და სამეცნიერო კვლევის განმახორციელებლის ვალდებულება

1. საბჭო უფლებამოსილია განახორციელოს იმ კვლევის მიმდინარეობის მონიტორინგი, რომელზეც გასცა დადებითი დასკვნა.

2. მთავარი მკვლევარი ვალდებულია აცნობოს კვლევის საბჭოს:

ა) კვლევით პროექტში შეტანილი ნებისმიერი ცვლილების შესახებ;

ბ) კვლევის პროცესში წამოჭრილი ნებისმიერი საკითხის შესახებ, რომელიც შეეხება კვლევის სუბიექტთა ჯანმრთელობას, უსაფრთხოებას და უფლებებს და/ან
რამაც შეიძლება განაპირობოს კვლევის განმეორებითი ეთიკური შეფასების საჭიროება.

თავი 7. პასუხისმგებლობა დებულების დარღვევისათვის

საბჭოს წევრები და სამეცნიერო კვლევების განმახორციელებელი პირები ვალდებული არიან დაიცვან, საქართველოს კანონმდებლობის, მათ შორის უნივერისტეტის წესდების, ასევე უნივერისტეტის ,,შინაგანაწესისა და დისცილინური პასუხიმგებლობის ნორმები“-ს, უნივერისტეტის ეთიკის კოდექსის, უნივერსიტეტის აკადემიური ეთიკისა და სამსახურებრივი საქმიანობის ფარგლებში სამეცნიერო-საგანმანათლებლო ფუნქციის განმახორციელებელი პერსონალის სამსახურებრივი პასუხისმგებლობის შესახებ დებულების“, წინამდებარე დებულებისა და უნივერისტეტის სხვა შიდასამართლებრივი აქტების მოთხოვნები.